მებატე გოგო

ილუსტრატორი
ელენა სელივანოვა

სულაკაურის
გამომცემლობა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქვრივი დედოფალი, რომელსაც ულამაზესი ქალიშვილი ჰყავდა. ერთ დღეს დედოფალს პრინცესის ხელი შორეული ქვეყნის პრინცმა სთხოვა და ისიც დასთანხმდა.

დედამ ქალიშვილს მდიდრული მზითევი – ლამაზი კაბებით სავსე სკივრი და ოქროთი სავსე ზარდახშა – გაუმზადა; გამგზავრების დღეს კი პრინცესისთვის მსახურებს თავლიდან თეთრი რაში გამოაყვანინა. რაში ჯადოსნური იყო – ადამიანივით ლაპარაკობდა.



დამშვიდობებისას დედოფალმა თითში ქინძისთავი იჩხვლიტა, სამი წვეთი სისხლი ცხვირსახოცზე დააპკურა, ქალიშვილს გაუწოდა და უთხრა:

– თან წაიღე. გაჭირვებაში გამოგადგება.

პრინცესა გამოემშვიდობა დედას, შეჯდა რაშზე და ერთი პირისფარეშის თანხლებით შორეული ქვეყნისაკენ გაეშურა.

ცხელი დღე იყო. პრინცესას ძალიან მოსწყურდა და წყაროს რომ მიადგნენ, პირისფარეშს სთხოვა, ოქროს სასმისი წყლით ამივსეო.

– შენი მოახლე კი არ ვარ! – ცხვირი აიბზუა პირისფარეშმა, – ჩამოდი ცხენიდან და აავსე!

პრინცესა გააოცა გოგოს უკმეხობამ, მაგრამ არაფერი უთქვამს. ცხენიდან ჩამოხტა და წყაროს წყალს დაეწაფა.

ცოტა კიდევ რომ გაიარეს, პრინცესას ისევ მოსწყურდა და პირისფარეშს სთხოვა, ოქროს სასმისი წყლით ამივსეო.

– შენი მოახლე კი არ ვარ! ჩამოდი ცხენიდან და აავსე! – გაწიწმატდა პირისფარეში.

პრინცესა ისევ გააოცა გოგოს თავხედობამ, მაგრამ ამჯერადაც არაფერი შეიმჩნია, ცხენიდან ჩამოხტა და წყაროს წყალს დაეწაფა.

უცებ დედის ნაჩუქარი ცხვირსახოცი წყალში ჩაუვარდა.

„მშვენიერია! ცხვირსახოცი ველარაფერში დაეხმარება!“ – გაიფიქრა პირისფარეშმა და პრინცესას დაემუქრა:

– ახლავე გამიცვალე კაბაც და ცხენიც, თორემ მოგკლავ! და იცოდე, ამიერიდან მე ვარ პრინცესა, შენ კი – მოახლე!

მათ ადგილები გაცვალეს და თეთრ რაშზე ამხედრებულმა ცრუ პრინცესამ ამაყად შეაბიჯა სასახლის ეზოში, ხოლო ნამდვილი პრინცესა რუხი ჯაგლაგით შეჩაქჩაქდა. ცრუ პრინცესას მეფე შეეგება და თავისი ვაჟი წარუდგინა.



უცებ მეფემ ნამდვილი პრინცესა დაინახა და მისი სილამაზითა და სინაზით მოიხიბლა.

– ვინ ხარ? – ჰკითხა გაოცებულმა მეფემ პრინცესას.

– მოახლედ მოვედი, მაგრამ აქ იმდენი მოახლეა, რომ ჩემი ადგილი აღარ არის, – ამოიოხრა პრინცესამ.

– მებატე მჭირდება, – შესთავაზა მეფემ და პრინცესას საბატისაკენ გაუძღვა.

საბატეში მებატე კირსტენი დახვდათ. სწორედ მას დაავალა მეფემ, შეეკედლებინა ნამდვილი პრინცესა.